ერმილე მესხია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ermile Meskhia

Doctor of Historical Sciences, Professor

Batumi Art State University

სამუზეუმო განათლების თანამედროვე გამოწვევები

Contemporary Challenges of Museum Education

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.08

აბსტრაქტი: სამუზეუმო დარგის სპეციალისტების მომზადება თანამედროვე საგანმანთლებლო სისტემის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. უცხოეთში მუზეუმის სპეციალისტთა მომზადების სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს. ძირითადად, მუზეუმის სპეციალისტების მოზადება მიმდინარეობს უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებებში აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მუზეუმების ჩართულობით.

მაგალითად, უცხოეთის უნივერსიტეტებში მოქმედებს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები და მოკლევადიანი სასწავლო კურსები.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, უმეტეს შემთხვევაში (ესტონეთი, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი), დანერგილია სამუზეუმო განათლების ორსაფეხურიანი ან ერთსაფეხურიანი (ბელარუსი) საგანამანთლებლო პროგრამები, ასევე მოქმედებს მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) პროგრამები, ზოგიერთ ქვეყანაში კი (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი და სხვ.) სამუზეუმო განათლება წარმოდგენილია მოკლევადიანი სასერთიფიკატო კურსებით.

საქართველოს საგანამანთლებლო სისტემა 2005 წლიდან ევროპის საგანამანთლებლო სივრცის ნაწილი გახდა. ქვეყანაში მოქმედებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომლითაც განსაზღვრულია განათლების 8 დონე. შესაბამისად დადგენილია სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომელიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული

კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას. კლასიფიკატორის მიხედვით სწავლის სფეროები კლასიფიცირდება შინაარსობრივი დაჯგუფების პრინციპით და მოიცავს ფართო სფეროს, ვიწრო სფეროს და დეტალურ სფეროს.

ჩვენთვის საინტერესო სპეციალობა „მუზეუმმცოდნეობა“ შედის სოციალური მეცნიერებების დეტალურ სფეროში, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მიმართულებით უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამები შეიძლება მომზადდეს როგორც პირველ, ისე მეორე საფეხურზე.

მიუხედავად ამისა, ვინაიდან საქართველოში უმაღლესი განათლება ბიზნესის ნაწილი გახდა, ფინანსურად „არამომგებიან“ საგანამანთლებლო პროგრამებს უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულებები არ ახორციელებენ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც საქართველოში მოქმედებს ერთადერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუზეუმმცოდნეობა“. რაც შეეხება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს, „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ სამაგისტრო პროგრამას გააჩნია მიმართულება (მოდული) „მუზეუმმცოდნეობა“.

სამწუხაროდ, „მუზეუმმცოდნეობა“ არ არის გათვალისწინებული საქართველოს ხელისუფლების მიერ აღიარებულ პრიორიტეტულ საგანამანთლებლო მიმართულებებს შორის. ეს და სხვა გარემოებები მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს სამუზეუმო სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად. რაც შეეხება მოკლევადიან სტაჟირებისა და მომზადების სასერთიფიკატო კურსებს, მართალია ისინი ხელს უწყობს მუზეუმის სპეციალისტების გადამზადებას, მაგრამ არ იძლევა კვალიფიციურ, აკადემიურ განათლებას.

სამუზეუმო განათლების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დარგის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და მეცნიერული კვლევების პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმი, მუზეოლოგია, განათლება, პროგრამა, კურსი, ტრენინგი, უცხოური გამოცდილება.

Abstract:

Training museum specialists is an important challenge for the modern educational system. There are various practices of training museum specialists abroad. Basically, museum specialists are trained in academic educational programs at higher educational institutions with the involvement of museums.

For example, foreign universities offer both undergraduate and graduate educational programs and short-term training courses.

As for the post-Soviet countries, in most cases (Estonia, Ukraine, Russia, Kazakhstan), two-level or one-level (Belarus) educational programs of museum education have been implemented, as well as third-level (doctoral) programs, and in some countries (Azerbaijan, Armenia, Turkmenistan, etc.) museum education is represented by short-term certificate courses.

The Georgian education system has become part of the European Educational Space since 2005. The country has a National Qualifications Framework, which defines 8 levels of education. Accordingly, a classification of fields of study has been established, which, based on the documents of the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) ("International Standard Classification of Education" (ISCED-F-2013) and "Fields of Education and Training 2013 – Detailed Description of Fields" (ISCED-FoET-2013), classifies the fields of study existing in Georgia and determines the qualifications awarded in each field of study. According to the classifier, fields of study are classified according to the principle of content grouping and include a broad field, a narrow field, and a detailed field.

The specialty "Museology" of interest to us is included in the detailed field of social sciences, which means that higher educational programs in this direction can be prepared at both the first and second levels. However, since higher education in Georgia has become part of the business, higher education institutions do not implement financially "unprofitable" educational programs. The only exception is the Tbilisi Academy of Arts, where the only master's degree program in "Museum Studies" operates in Georgia. As for Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the "Cultural Heritage and Modernity" master's program has a direction (module) "Museology".

Unfortunately, "museum studies" is not included among the priority educational areas recognized by the Georgian government. These and other circumstances represent a significant obstacle to the training of qualified specialists in the museum field. As for short-term internships and training certificate courses, although they contribute to the retraining of museum specialists, they do not provide qualified, academic education.

A significant challenge for museum education is the provision of textbooks and scientific research in the field.

Keywords: Museum, Museology, education, program, course, training, Foreign experience.

მუზეუმებისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება თანამედროვე სამუზეუმო განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სამუზეუმო განათლების ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტები და საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს სწავლების ფორმას და მიმართულებას.

საერთაშორისო აქტებს შორის მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ICCM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი“ და ICTOP-ის (ICOM-ის პერსონალის მომზადების კომიტეტი) მიერ შემუშავებული დოკუმენტები.

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მინიმალური ნორმების კრებულს მუზეუმებისათვის. იგი ჩამოყალიბებულია პრინციპების სახით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სპეციალისტების პროფესიულ საქმიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში ეს მინიმალური ნორმები ეროვნული კანონით ან რეგლამენტითაა განსაზღვრული, ზოგან კი აკრედიტაციის ან რაიმე სხვა მსგავსი სისტემითაა ფორმულირებული. მაშინ, როცა ეს ნორმები ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული არ არის, მათი მოპოვება შეიძლება ICCM-ის სამდივნოში ან მის ეროვნულ და შესაბამის საერთაშორისო კომიტეტებში. საბაზო დოკუმენტის სახით ამ კოდექსის გამოყენება შეუძლიათ ცალკეულ ერებს (ქვეყნებს, ე.მ.) თუ მუზეუმებთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, თუკი მათ დასჭირდებათ დამატებითი ნორმების შემუშავება [კრებული მუზეუმების შესახებ, 2006:143].

სამუზეუმო ეთიკის კოდექსი 1.14 მუხლი ადგენს, რომ „მუზეუმს უნდა ჰყავდეს მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, რომ მათ შეძლონ მათზე დაკისრებული მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება“ (კრებული მუზეუმების შესახებ, 2006:146). კოდექსი 1.15 მუხლი მოითხოვს „მუზეუმის თანამშრომლების კვალიფიკაციისა და საქმიანობის ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით სავალდებულოა, რომ მათ მიეცეთ უწყვეტი განათლებისა და პროფესიონალიზმის ამაღლების საშუალება“ [კრებული მუზეუმების შესახებ, 2006:147]

საკითხი, თუ სად არის უკეთესი მუზეუმის პროფესიონალების მომზადება: მუზეუმში თუ უნივერსიტეტში, აქტიურად განიხილება 1960-იანი წლებიდან [Шустрова]. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში მოქმდებს მუზეუმის სპეციალისტების მომზადების სისტემა [Медведева], გერმანიაში კი, სამუზეუმო პედაგოგიკის კონცეფციის შესამუშავებლად შექმნილია ჯგუფი, რომელშიც შედიან პედაგოგები, ხელოვნებათმცოდნეები და კულტურის მოღვაწეები სხვადასხვა ქალაქიდან [Верпланке].

მუზეოლოგიის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ დღემდე მუზეუმის პედაგოგების პროფესიული მომზადების ყველაზე დამაჯერებელი გამოცდილება, როგორც მუზეუმის საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი, აშშ-შია. აქ სპეციალისტები რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ვაშინგტონის, ლოს-ანჯელესის და სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტები) ამზადებენ. მათ შორის განსაკუთრებული როლი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტს (ვაშინგტონი) ეკუთვნის, რომელმაც მუზეუმებთან ერთად შექმნა მუზეუმის პედაგოგიკის დეპარტამენტი და შეიმუშავა პირველი პროფესიული კურსი აშშ-ში. სასწავლო გეგმა შემუშავებულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის - მაგისტრის ხარისხისთვის. ეს ნიშნავს, რომ სწავლების ახალ ეტაპზე სტუდენტები მიიღებენ პროფესიულ ცოდნას ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში, შეიძენენ კვლევით უნარებსა და გამოცდილებას მუზეუმისა და პედაგოგიურ საქმიანობაში [Шустрова].

უცხოეთში სამუზეუმო განათლების სფეროში სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს. „მუზეოლოგია/მუზეუმმცოდნეობის პროგრამები ძირითადად ითვალისწინებს ბაკალავრისა და მაგისტრის მომზადებას. მაგისტრატურაში ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭება ჰუმანიტარული განათლების მქონე სტუდენტებს“ (კოშორიძე, 112:2009). მაგალითად, ჰონ-კონგის განათლების უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის პროგრამა საბაკალავრო ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობისა და სამუზეუმო განათლების სფეროებში პროფესიული ცოდნის მიღებაზე [https://www.bachelorsportal.bachelor-of-arts-in-heritage-education-and-arts-management].

რედინგის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულებს გარდა ძირითადი სპეციალობისა, დამატებით აძლევს ცოდნას და პროფესიულ უნარებს სამუზეუმო განათლებაში. სტუდენტები ამ ცოდნას და პრაქტიკულ-უნარჩვევებს ეუფლებიან უნივერსიტეტის პარტნიორ მუზეუმებში [https://www.bachelorsportal.com/studies/351707/museum-and-classical-studies]. უფრო სპეციფიკურ ცოდნას იძლევა ლივერპულის ჯონ მურის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და მუზეოლოგიის პროგრამა, რომელიც, აგრეთვე სტუდენტებს საერთაშორისო სტაჟირების საინტერესო შესაძლებლობებს სთავაზობს [https://www.bachelorsportal.com/studies/history-of-art-and-museum-studies].

დიდ ბრიტანეთში ხორციელდება ტრენინგების პროგრამები, რომლებიც საშუალებას იძლევა თანამშრომლებმა შეისწავლონ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება, ხოლო კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები პერსონალს უქმნის ახალ შესაძლებლობებს. ორივე მათგანი შეიძლება განხორციელდეს როგორც მუზეუმის ფარგლებში, ასევე სხვა დაწესებულებაში თანამშრომლის სწავლების (ნაწილობრივი ან მთლიანი) ფინანსირების ხარჯზე. ეს შეიძლება იყოს სამუზეუმო საქმის

ტრენინგის პროგრამები (დაწყებული შესავალი კურსით და მაგისტრატურის დონის ჩათვლით), ან პროფესიული ამოცანების, ტექნიკური ან მართვის უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის სხვადასხვა სახის კურსები, რომელიც სასარგებლოა მუზეუმის ნებისმიერი თანამშრომლისათვის, მიუხედავად თანამდებობისა [ლორდი, 50:2006].

დიდ ბრიტანეთში სამუზეუმო საქმის ტრენინგის ინსტიტუტი დაფუძნდა პროფესიული კომპეტენციის სტანდარტების განსავითარებლად, რაც პროფესიული კვალიფიკაციის ჩამოყალიბებას უქმნის საფუძველს [ლორდი, 50:2006].

ტრენინგის ინსტიტუტი ასევე ამტკიცებს მაგისტრატურის პროგრამებს მუზეუმმცოდნეობაში, მაგალითად, ლესტერისა და ლონდონის უნივერსიტეტებში, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც ტრენინგების, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობად (ლორდი, 50:2006).

მანჩესტერის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმის შტატში მყოფ თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი განვითარების გეგმა, რომელიც პასუხობს როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე მთელი მუზეუმის მოთხოვნებს [ლორდი, 49:2006].

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა „ინვესტიციები ადამიანებში“, რომელიც მოწოდებულია ამ სფეროში კვალიფიკაციის ასამაღლებლად [ლორდი, 49:2006].

მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრებულია აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ნიდერლანდების და სხვ. ქვეყნების უნივერსიტეტებში და კოლეჯებში [https://www.educations.com]. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სტუდენტებს სთავაზობს მუზეოლოგიის ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს. გერმანიის 19 უნივერსიტეტში [https://www.mygermanuniversity.com/museum-studies], საფრანგეთის ათზე მეტი უნივერსიტეტში მოქმედებს სამუზეუმო საგანამანთლებლო პროგრამა [https://www.mastersportal.]. ზოგიერთი უნივერსიტეტი კი კვალიფიკაციას ანიჭებს მუზეოლოგიაში [ვისკონსინის უნივერსიტეტი, აშშ, ხელოვნების მაგისტრი მუზეოლოგიაში, https://www.washington.edu/museology].

სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულებაა, სადაც მუზეუმების კვლევების სამაგისტრო პროგრამა სამუზეუმო სფეროში მრავალმხრივ ცოდნას (მუზეუმის მენეჯმენტი; კოლექციების მოვლა; გამოფენების განვითარება) აძლევს სტუდენტებს [https://www.usfca.edu/arts-sciences/programs)]

აშშ-ის ზოგიერთ უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალური პროგრამა სამუზეუმო საქმის შესწავლისათვის. მიუხადავად ამისა, სამუზეუმო განათლება საკმარისი არ არის ზოგიერთ მუზეუმში მუშაობის დასაწყებად. მუზეუმს შემუშავებული აქვს სპეციალისტთა დასაქმების წინაპირობები,

რომლის საფუძველზე კურსდამთავრებული ვალდებულია, მუზეუმში გაიაროს სპეციალური საგანმანათლებლო-პრაქტიკული კურსი არჩეული მიმართულების მიხედვით. ქალაქ კლივლენდის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში კი (ოჰაიო, აშშ) შემუშავებულია "მრავალფეროვანი კურატორობის (დღეს მუზეუმს ექვსი კურატორი ჰყავს), ინტერაქტიული შეგირდობის და განათლების სპეციალისტების მოწვევის გეგმა".

ამერიკის მუზეუმებში ინტენსიურად ხორციელდება ახალი კადრების მოზიდვის პროცესი, მუზეუმში მუშაობის დაწყების წინ, სავალდებულოა დიპლომირებულმა სპეციალისტმა გაიაროს გარკვეული სპეციფიკური კურსი, რომელსაც თვით მუზეუმი შეიმუშავებს (კურსის პროგრამა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განთავსებულია მუზეუმების ვებ-გვერდებზე).

მუზეუმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მათი ჩამონათვალი ხშირად 30-ს აჭარბებს) მოიცავს მოვალეობებისა და უნარ-ჩვევების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელსაც მუზეუმში მუშაობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს (მაგალითად, ფონდების მცველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: სამეცნიერო ხარისხი აღნიშნული მუზეუმის სპეციალიზაციის სფეროში, გამოხატული ადმინისტრაციული მონაცემები, მართვის გამოცდილება მუზეუმში ან სხვა მსგავს დაწესებულებაში, სპეციალიზაცია კოლექციის რომელიმე ერთი ნაწილის სფეროში, სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა, პუბლიკაციების ავტორობა, კოლექციების აღწერისა და ინტერპრეტაციის უნარი, ობიექტების შერჩევის, შეფასების, კონსერვაციის, რესტავრაციის და ექსპონირების მეთოდების ცოდნა; ბაზრის, კოლექციონირების ეთიკის, აგრეთვე მუზეუმის სპეციალიზაციის სფეროსთან მიმართებაში მოქმედი საბაჟო წესების ცოდნა).

სმიტსონიანის ინსტიტუტის Carrer center-საც ჩამოყალიბებული აქვს მოთხოვნები კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მიმართულებით, ხოლო ინსტიტიტის Center for Education and Museum Stdies თავის ვებ-გვერდზე რეგულარულად ათავსებს ინფორმაციას აშშ-ს უნივერსიტეტებში სამუზეუმო საქმის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, საზოგადოების ისტორიისა და არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტის შესწავლის პროგრამების შესახებ, აგრეთვე განცხადებებს იმ ვაკანსიებზე, რომლებიც ამა თუ იმ მუზეუმში არსებობს (კრებული მუზეუმების შესახებ, 2006:245-246).

საყურადღებოა, რომ აშშ-ის სამუზეუმო საგანმანთლებლო სფეროში დამკვიდრებულია მუზეუმების აქტიური ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. მაგალითად, გუგენჰაიმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი მონაწილეობს საუნივერსიტეტო კურსების მომზადებაში [Банами].

სამუზეუმო განათლებასთან ერთად მუზეუმში პრაქტიკის უნიკალურ მაგალითს იძლევა გრონიგენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, რომლსაც 3 მიმართულება გააჩნია. პროგრამის ერთ-ერთი მიმართულება „თანამედროვე ხელოვნება და კურატორული კვლევები“, მუზეუმში პრაქტიკას 30 კრედიტს უთმობს. საინტერესოა პროგრამის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებიც: „მუზეუმები და რელიგია“, „სამუზეუმო განათლება“, „მუზეუმის ინტერპრეტაციის ახალი მოდელები“, „გამოფენის განვითარება“, „მუზეუმი და ტექნოლოგიები“, „კოლექციების მართვა“, „სამუზეუმო კანონმდებლობა“, „საგრანტო პროექტების მომზადება“, „მუზეოლოგიის სპეცკურსი“, „საჯარო პროგრამები“, „საზოგადოების ჩართულობა მუზეუმში“, „ექსკურსია მუზეუმში“ [https://www.educations.com/institutions/university-of-groningen/ma-in-arts-culture-curatorial-studies].

ჩეხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუზეოლოგიის შესწავლა შესაძლებელია დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით ან ცალკეულ საგნად, ასევე სხვა პროგრამასთან კომბინაციაში [https://www.muni.cz/en/bachelors-and-masters-study-programmes].

სამუზეუმო განათლების საინტერესო პრაქტიკაა დამკვიდრებული პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. ყაზახეთის ალ-ფარაბის ეროვნული უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „სამუზეუმო საქმე და ძეგლების დაცვა“ იმითაა გამორჩეული, რომ სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გარდა გადიან პაქტიკას რამდენიმე მიმართულებით: საწარმოო, საველე (არქოლოგიური) და პროფესიული [https://welcome.kaznu.kz/ru/education_programs/bachelor/speciality/1412#general].

რუსეთის ფედერაციაში 21 ქალაქის 25 უნივერსიტეტში მოქმედებს მუზეოლოგიის საბაკალავრო პროგრამები 4-5 წლიანი ვადის ხანგრძლივობით, 32 უნივერსიტეტში კი -სამაგისტრო პროგრამები [https://vuzopedia.ru/spec/66].

ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში, გომელის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუზეუმების შესწავლა ხდება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პროგრამებთან ერთად: ისტორია და მუზეუმოლოგია; ხელოვნების ისტორია და მუზეუმოლოგია და სხვ. [https://www.studyinby.com/education-in-belarus/ specialnosti/ ?PAGEN_1=24] სწავლის ხანგრძლივობა განსხვავდება სწავლების ფორმების (დასწრებული, დაუსწრებელი) მიხედვით.

ლიეტუვის უნივერსიტეტს გააჩნია მუზეოლოგიის დეპარტამენტი, რომელიც როგორც საგანამანთლებლო, ასევე კვლევითი მიმართულებით არის დაკავებული [https:// www.kf.vu.lt/ en/structure / 135-structure/institute-of-creative-media/640-department-of-museology].

ესტონეთის კულტურული მემკვიდრეობისა და კონსერვაციის სამაგისტრო საგანამანათებლო პროგრამა მუზეოლოგიის მიმართულებას მოიცავს. ესტონეთის ხელოვნების აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და ვიზუალური კულტურის, ასევე კულტურული მემკვიდრეობისა და კონსერვაციის მაგისტრატურის პროგრამები ასევე გვთავაზობს მუზეუმოლოგიის სპეციალიზაციის არჩევანს. მუზეოლოგიის მოდულის მიზანია ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის მუზეუმებში (და უფრო ფართოდ, მუზეუმებში, რომლებიც კულტურული საგანძურის საცავებად მოქმედებენ) სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიწოდება: კურატორის, კოლექციის ხელმძღვანელის, განათლებისა და აუდიტორიის პროგრამის დიზაინერის, კომუნიკაციის ან განვითარების სპეციალისტის და პროექტის მენეჯერის თანამდებობაზე. ყველა ეს თანამდებობა მოითხოვს როგორც სპეციფიკურ კომპეტენციას, ასევე ზოგად გაგებას იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ხელოვნების მუზეუმი, რატომ და როგორ ფუნქციონირებს იგი. მუზეუმოლოგიის მოდული უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარებსა და თეორიულ ცოდნას მუზეუმში მუშაობისთვის და შემოქმედებითად და კრიტიკულად ახალისებს ადამიანებს, შეისწავლონ მუზეუმის როლი და მიზნები თანამედროვე კულტურის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმოლოგიის სფერო, როგორც ასეთი, მოიცავს ყველა მუზეუმს. მუზეოლოგიის მოდული ფოკუსირებულია ხელოვნების მუზეუმებსა და მათთვის დამახასიათებელ მახასიათებლებზე. სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება იყოს თეორიული ნაშრომი, რომელიც ეხება ხელოვნების მუზეუმებთან დაკავშირებულ პრობლემას, ან პრაქტიკული ნაშრომი (გამოფენა, მოწინავე საგანმანათლებლო ან აუდიტორიის პროგრამა, ან კოლექციებზე დაფუძნებული კვლევითი პროექტი ხელოვნების, დიზაინის ან არქიტექტურის მუზეუმში), რომელსაც თან ახლავს თეორიული საფუძვლების ამსახველი განმარტებითი ნაშრომი [https://www.artun.ee/en/course/cultural-heritage-conservation].

კიევის ტარას შევჩენკოს ერ. უნივერსიტეტში გააჩნიათ მუზეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მუზეოლოგიის სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსებს გვთავაზობს ლვოვის (უკრაინა) უნივერსიტეტის ისტორიის, მუზეოლოგიისა და კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი: მუზეუმის მუშაობის სოციალურ-კულტურული ასპექტები; IT ტექნოლოგიები მუზეუმის ბიზნესში; მენეჯმენტი და მარკეტინგი მუზეუმის საქმიანობაში; ექსპოზიციების დიზაინი [https://knu.ua/en/departments/history/].

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მართალია, აკადემიური საგანამანთლებლო პროგრამები არ მოქმედებს, მაგრამ პრაქტიკაში დანერგილია სხვადასხვა სახის მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსები.

სომხეთში, აზერბაიზანში, უზბეკეთში და სხვ. მოქმედებს სასწავლო კურსები დამწყები მუზეოლოგებისთვის. ცალკეა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების კურსები.

სამუზეუმო განათლების პრეცედენტი გაგვაჩნია საქართველოში. სხვანაირად შეუძლებელია შევაფასოთ ამ სფეროში არსებული პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ნორმატიული ბაზა გაგვაჩნია და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულია მუზეუმმცოდნეობა (Museology), რომელიც შედის სოციალური მეცნიერერების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის მიმართულებაში (სპეციალობის კოდი 0322.2.1), ქვეყანაში დამკვიდრებული საგანმანათლებლო ბიზნესის გამო, აღნიშნული მიმართულებით პროგრამის მომზადება „არამომგებიანია“.

მიუხედავად ამისა, ზოგადად, სამუზეუმო განათლება საქართველოში პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ:

√ მუზეუმმცოდნეობის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა;

√ მუზეუმმცოდნეობის სასწავლო კურსი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში;

√ მუზეუმმცოდნეობის სასერთიფიკატო მოკლე ვადიანი სასწავლო კურსი პერსონალის გადასამზადებლად.

როგორადაც არ უნდა გაგვიკვირდეს მუზეუმმცოდნეობის ერთადერთი მეორე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მუზეუმმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

რაც შეეხება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აქ მოქმედედებს „კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის“ სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც გააჩნია მოდული „სამუზეუმო საქმე“ (https://www.tsu.ge). აღნიშნული მიმართულების კურსდამთავრებულსაც, როგორც სამხავრო აკადემიაში, ენიჭება მუზეუმმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ერთი სიტყვით, თბილისის სამხატვრო აკადემია პირველი და ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც გააჩნია აკრედიტებული, დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა მუზეუმმცოდნეობაში. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. პროგრამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ „მოიცავს მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო სპეციალობის ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ სტრუქტურას, წინაპირობებსა და

მეთოდოლოგიას. პროგრამის ფარგლებში განიხილება თანამედროვე სამუზეუმო მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები, კოლექციების მართვა, კონსერვაცია და ინტერპრეტაცია, საგამოფენო მენეჯმენტი, საგანმანათლებლო პროგრამები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სამუზეუმო მარკეტინგი და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია. გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს ამ კრიტიკული საკითხების შესწავლას და ანალიზს იმ დარგობრივი და მომიჯნავე დისციპლინებიდან მიღებული მეთოდოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა პედაგოგიკა, თანამედროვე ხელოვნების ისტორია და კულტუროლოგიის საფუძვლები. ეს ინტერდისციპლინური მიდგომა გადამწყვეტია ქვეყნის მუზეუმების ინტეგრაციისთვის გლობალურ სამუზეუმო სივრცეში.

თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის გადაცემასთან ერთად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართვას სამეცნიერო კვლევებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში, რაც მათ გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სხვადასხვა ტიპის სამუზეუმო აქტივობების განხორციელებისა და XXI საუკუნის მუზეუმების პრობლემების გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის მიმართულებით“ [https://art.edu.ge/en/muzeummcodneoba/]. სამუზეუმო პრაქტიკისთვის გათვალისწინებულია 5 კრედიტი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის“ სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს: ძველი ხელოვნება; ახალი და თანამედროვე ხელოვნება და სამუზეუმო საქმე. პროგრამის ფარგლებში თითოეული მოდული ითვალისწინებს როგორც ვიწრო სპეციალიზებული, ისე საერთო საგნების სწავლებას (https://www.tsu.ge).

„კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის“ სამაგისტრო პროგრამის მოდული „სამუზეუმო საქმე“ 60 კრედიტისაგან შედგება (30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი; სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი; გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სპეციალობის არჩევით და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს). სამუზეუმო პრაქტიკას სამხატვრო აკადემიის პროგრამისაგან განსხვავებით აქ უფრო მეტი დრო ეთმობა - 10 კრედიტი [https://www.tsu.ge].

მოდული „სამუზეუმო საქმის“ სასწავლო კურსები იმგვარადაა შერჩეული, რომ კურსდამთავრებულმა მიიღოს „მუზეუმების სოციალური და კულტურული ასპექტების, სამუზეუმო სტრუქტურების ფუნქციონირების, მუზეუმმცოდნეობის თანამედროვე თეორიების ცოდნა. ცოდნა კულტურული ინსტიტუციების მართვისა და იქ მიმდინარე ყველა პრაქტიკული პროცესების შესახებ. კულტურული და სოციალური კონტექსტის ცოდნა, რომელშიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ეს დაწესებულებები. მარკეტინგის თეორიების შესახებ ცოდნა. თანამედროვე მარკეტინგული ტექნოლოგიების ზოგადი პრინციპებისა და მექანიზმების ცოდნა. სტუდენტი ფლობს ცოდნას

სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სამუზეუმო საქმიანობაში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის შესახებ, მუზეუმების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპების შესახებ, მუზეუმების კატეგორიების შესახებ; სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ძირითადი უფლება–მოვალეობების შესახებ, სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის ტექნოლოგიების შესახებ“ [https://www.tsu.ge].

რაც შეეხება მუზეუმმცოდნეობის სასწავლო კურსებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში, აქ შეიძლება ითქვას, უფრო მეტი რაოდენობის უნივერსიტეტებში ვხვდებით. მუზეუმმცოდნეობის (ზოგან მუზეოლოგიის დასახელებით) სასწავლო კურსები, ძირითადად, წარმოდგენილია ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიისა და არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში, იშვიათად ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში.

მუზეუმმცოდნეობის სწავლების კარგი პრაქტიკაა დამკვდრებული ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში, განსხვავებით საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან. ვინაიდან თავად ამ უნივერსიტეტის პროფესორი ვარ, შეიძლება კოლეგებს ასეთი შეფასება მიკერძოებულად მოეჩვენოს, მაგრამ ამ განცხადების საფუძველს მაძლევს საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუზეუმმცოდნეობის სასწავლო კურსების ანალიზი, რომლის საშუალება მომეცა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოში რამდენიმეწლიანმა მუშაობის გამოცდილებამ.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუზეუმო განათლებისათვის კრედიტები გამოყოფილია როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში. მაგალითად, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ძირითადი სასწავლო კურსი „მუზეოლოგია“ (4 კრედიტი) და „მუზეოლოგია პრაქტიკა“ (1 კრედიტი). ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში კი შეტანილია „სამუზეუმო პრაქტიკა“ (5 კრედიტი. basu.edu.ge).

გარდა ამისა, სამუზეუმო საქმე ისწავლება „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო, „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო, ხელოვნების მენეჯმენტის 120 კრედიტიან და ხელოვნების მენეჯმენტის 60 კრედიტიან სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამებში. ბაკალავრიატში სასწავლო კურსი - „მუზეუმის მენეჯმენტი“ (5 კრედიტი), მაგისტრატურაში „სამუზეუმო გამოფენებისა და პროგრამების მართვა“ (3 კრედიტი).

თითოეულ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია „ჩაშენებული“ პრაქტიკა მუზეუმში. სასწავლო კურსები ითვალისწინებს პრაქტიკული დავალებების მომზადებას: საგამოფენო პროექტი; საგანმანათლებლო პროექტი; ექსპონატის პასპორტი; მუზეუმის ბიეჯეტის; მუზეუმის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების; მუზეუმის მისიის პროექტები და სხვ.

მუზეუმმცოდნეობის სასერთიფიკატო მოკლე ვადიანი სასწავლო კურსებს პერსონალის გადასამზადებლად უფრო მეტად ახორციელებენ მუზეუმები, მმართველობითი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, იშვიათად - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ მუზეოლოგიის სფეროში დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის საუნივერსიტეტო განათლების მიღწევებისაგან, მაგრამ ამ საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დამკვიდრებული სამუზეუმო განათლების პრაქტიკა შესაძლოა, სამომავლოდ გაფართოვდეს და უფრო მეტი უნივერსიტეტი მოიცვას.

სამუზეუმო განათლება შესაბამისი კვალიფიციური კადრების, სასწავლო ლიტერატურის, სწავლების მეთოდების კვლევების არსებობასთანაა დაკავშირებული.

საქართველო, ამ მხრივაც, მოკრძალებულად გამოიყურება სხვა ქვეყნებთან შედარებით. მუზეუმმცოდნეობის საგანამანთლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების სწავლებას, ძირითადად, ახორციელებენ დარგის სპეციალისტები, მაგრამ პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევას, როცა აღნიშნული სასწავლო კურსი ვიღაცის დატვირთის შევსებისათვის გამოიყენება.

რაც შეეხება სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას, აქ უფრო რთულად გვაქვს საქმე. ფაქტიურად, მუზეუმმცოდნეობაში არ გაგვაჩნია სახელმძღვანელო მშობლიურ ენაზე, მათ შორის, არც უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანი. მართალია, სხვადასხვა დროს გამოიცა ი. კოშორიძის (მუზეუმმცოდნეობის შესავალი. ევროპული და ამერიკული მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები, თბ., 2009), ს. ცისკარიშვილის „მუზეუმის მართვის პრინციპები“, თბ., 2022), ი. ქარაიას „სახელმძღვანელო მუზეუმების გიდებისათვის“ (2015), ნ. გედევანიშვილის (განათლება და მუზეუმი), „თბილისის მუზეუმებისგზამკვლევი“ (2016), „კრებული მუზეუმების შესახებ“ (2006), „ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვა-დაცვის შესახებ“ (2006), 2014 წელს კი ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტმა გამოსცა „მუზეოლოგიის“ ლექციების კურსი (ავტორი, პროფესორი ე. მესხია), რაც სრულიად არასაკმარისია ამ დარგის სწავლებისათვის.

რაც შეეხება სამუზეუმო საქმის მენეჯმენტს, შედარებით ცოტა უკეთესად გვაქვს საქმე, ქართულ ენაზე ითარგმნა და 2006 წელს გამოიცა უცხოელი ავტორების (ლორდი ბ, ლორდი გ.) 2009 წელს იგივე ავტორების „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“, „სამუზეუმო ექსპოზიციების სახელმძღვანელო“,

„სახელმძღვანელო მუზეუმის მენეჯერთათვის“ (დ. კონსტანტინიოსი, ნ. კონსტანტინიოსი, ლ. ცომბანოღლუ), „განათლების სახელმძღვანელო. მეთოდენი და ტექნიკები სამუზეუმო და მემკვიდრეობის საგანამანთლებლო პროგრამებისთვის“ (ა. ვ. ველდჰიუზენი),

მუზეუმმცოდნეობაში სამეცნიერო კვლევები, სამეცნიერო კონფრენციები, სწავლების მეთოდების ანალიზი და აკადემიური წრეებისთვის გაზიარება, შესაბამისი გამოცემებიც ასევე იშვიათობას წარმოადგენს.

საქართველოში სამუზეუმო სფეროში დასაქმება არ არის მიმზიდველი დაბალი ანაზღაურების გამო. ამის გარდა სამუზეუმო განათლებისადმი ნაკლები დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ამ სფეროში სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან არაჯეროვანი დამოკიდებულება. სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული 16 პრიორიტეტული პროფესიის ჩამონათვალში მუზეუმმცოდნეობა არ შედის.

ყველაფერი ერთად აღებული წარმოშობს უამრავ პრობლემას სამუზეუმო სფეროში, რომლის წინაშე გამკლავება მხოლოდ მუზეუმების სპეციალისტების მონდომებისა და შრომის ხარჯზე შეუძლებელია.

მუზეუმი არ არის მოლოდ კულტურული მემკვიდრეობის განძთსაცავი, იგი კულტურისა და განათლების მნიშვნელოვანი კერა და ქვეყნი სავიზიტო ბარათია, რომელიც თითოეული მოქალაქის ზრუნვისა და სიამაყის საგნად უნდა იქვეს.

გამოყენებული ლიტერატურა

კოშორიძე ი., მუზეუმმცოდნეობის შესავალი, ევროპული და ამერიკული მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები, თბ., 2009;

კრებული მუზეუმების შესახებ, თბ., 2006;

ლორდი ბ., ლორდი გ., სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი, თბ., 2006;

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, https://eqe.ge/res/docs/სფეროებისკლასიფიკატორი.pdf;

Банами З., Музей – Образование – Дети, Сборник „Музейная педагогика за рубежом“,

https://imk2020.shpl.ru/moodle/pluginfile.php/391/mod_resource/content/1/met_1_zarub.pdf;

Верпланке Ф., Пути музейной педагогики, Сборник „Музейная педагогика за рубежом“,

https://imk2020.shpl.ru/moodle/pluginfile.php/391/mod_resource/content/1/met_1_zarub.pdf;

Медведева Е., музейная педагогика Германии, Сборник „Музейная педагогика за рубежом“,

https://imk2020.shpl.ru/moodle/pluginfile.php/391/mod_resource/content/1/met_1_zarub.pdf;

Шустрова И. Ю., Салова Ю. Г., Актуальные проблемы современной музеологии в отечественных и зарубежных исследованиях, http://www.lib.uniyar.ac.ru/edocs/iuni/20140109.pdf;

https://www.bachelorsportal.bachelor-of-arts-in-heritage-education-and-arts-management;

https://www.bachelorsportal.com/studies/351707/museum-and-classical-studies;

https://www.washington.edu/museology;

https://www.bachelorsportal.com/studies/139817/history-of-art-and-museum-studies;

https://www.mastersportal.com/study-options/268599595/museum-studies-france;

https://www.mygermanuniversity.com/subjects/museum-studies;

https://www.usfca.edu/arts-sciences/programs/graduate/museum-studies/program-overview;

https://www.educations.com/institutions/university-of-groningen/ma-in-arts-culture-curatorial-studies;

https://welcome.kaznu.kz/ru/education_programs/bachelor/speciality/1412#general;

https://www.studyinby.com/education-in-belarus/specialnosti/?PAGEN_1=24;

https://www.artun.ee/en/course/cultural-heritage-conservation;

https://www.kf.vu.lt/en/structure/135-structure/institute-of-creative-media/640-department-of-museology;

https://knu.ua/en/departments/history/;

https://www.muni.cz/en/bachelors-and-masters-study-programmes/24245museology?plan=courses_32_24247_24124;

https://art.edu.ge/en/saswavlo-programebi/magistratura/magistratura-katalogi/muzeummcodneoba/;

https://www.tsu.ge/assets/media/files/75/2023-. Pdf;

https://www.basu.edu.ge;